სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №50

დ. ადიგენი 28 ოქტომბერი, 2019 წელი

ერთის მხრივ ა.(ა).ი.პ. ,,ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 222729279, ანგარიშის GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22; მისამართი: დ.ადიგენი ა.ბალახაშვილის ქ. №19) წარმოდგენილი დირექტორის მარინე ვარდიძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მიღებაზე პასუხისმგებელი პირი - დაბა ადიგენის საბავშვო ბაღის მენეჯერი - ნინო ასანიძე, ხოლო მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი „არმენ დანელიანი“ (მის.: დ. ადიგენი, ს/კ: 03001018490; ა/ა GE54LB0711157524417000, სს ,,ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი LBRTGE22) წარმოდგენილი არმენ დანელიანის სახით,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით,

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,შემსყიდველი” ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.2. ,,მიმწოდებელი” ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც ,,შემსყიდველთან” გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.3. ,,ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს ,,შემსყიდველმა” ,,მიმწოდებლის” მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.4. დღე, კვირა, თვე ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ა.ა.ი.პ. ,,ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების“ 2019 წლის ბიუჯეტის სახსრებით ადიგენის მუნიციპალიეტეტში მდებარე დაბა ადიგენის საბავშვო ბაღში 30 $მ^3$ საწვავი შეშის დაჩეხვა და შეზიდვა.

- კლასიფიკატორის კოდი: CPV **98300000** - სხვადასხვა მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **450.00 (ოთხასორმოცდაათი) ლარს.**
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ,,მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;
3.4. ,,მიმწოდებელთან'' ანგარიშსწორება იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებლი შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.მიღება-ჩაბარების წესი

3.5. ,,მიმწოდებლი'' ,,შემსყიდველს'' წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს;

3.6. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები: შესრულებული სამუშაოს დასახელება, მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება;

6. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

6.1 სამუშაოს შესრულების ადგილად განისაზღვრება ადიგენის მუნიციპალიტეტი. დაბა ადიგენის საბავშვო ბაღი.

6.2 სამუშაოს დასრულების ვადაა **2019 წლის 07ნოემბერი.**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ,,შემსყიდველს" უფლება აქვს:

- ,,მიმწოდებლისაგან'' მოითხოვოს ხელშეკრულებით გათავალისწინებული ყველა პირობის დაცვა;
- ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის'' მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან'' ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3 ,,მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათავლისწინებული პირობებით.

7.4,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

- გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6.2 მუხლში;
- უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;
- იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს (რის შესახებადაც მათ წერილობით აცნობებს ,,შემსყიდველი'') საკუთარი ხარჯებით აღმოუფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

8.ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

8.1 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა;

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 . ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9.2 ხელშეკრულების ინსპქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შესაბამისი საბავშვო ბაღის მენეჯერი.

9.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი'' დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს'' წუნდების მიზეზების მითითებით.

9.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაამისად.

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით;

10.3 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი)%-ს ,,შემსყიდველი'' იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრლების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობის გაზრდა.

11.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 ,,შემსყიდველს'' უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) თუ ,,მიმწოდებელი'' არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ ,,შემსყიდველისათვის'' ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ,,მიმწოდებელი'' ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) ,,მიმწოდებლის'' გაკოტრების შემთხვევაში;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს'' დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

12.3 12. 1 პუნქტის შემთხვევებში ,,შემსყიდველი'' ვალდებულია აუნაზღაუროს ,,მიმწოდებელს'' ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

13.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილი ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 07დეკემბრის ჩათვლით;

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
ა.ა.ი.პ. ,,ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“
მის: დ.ადიგენი, ა.ბალახაშვილის ქუჩა №19; ს/კ: 222729279;
ანგარიშის GE24NB0330100200165022; სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22

დირექტორი: /მ. ვარდიძე/

,,მიმწოდებელი“
ფიზიკური პირი „არმენ დანელიან“
მის.: დ. ადიგენი, ს/კ: 03001018490; ა/ა GE54LB0711157524417000,
სს ,,ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი LBRTGE22

ფ/პ: /ა. დანელიან/

ადიგენის მუნიციპალიეტეტში მდებარე დაბა ადიგენის საბავშვო ბაღში საწვავი შეშის დაჩეხვისა და შეზიდვის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

N	სამუშაოს დასახელება	რაოდენობა	განზ. ერთეული	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება
1	ადიგენის მუნიციპალიეტეტში მდებარე დაბა ადიგენის საბავშვო ბაღში 30 $მ^3$ საწვავი შეშის დაჩეხვისა და შეზიდვის სამუშაოები	30	$მ^3$	15.00	450..00
ჯამი					450.00 ლარი

ფ/პ: /არმენ დანელიან/